

შპს მულტივაკი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს მულტივაკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით 31 დეკემბრით დასრულებული 2023 წლისათვის	5
დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში	6
ფინანსური ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული 2023 წლისათვის.....	9
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება.....	10
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	11
ფულის ნაკადების ანგარიშგება.....	12
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	13

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მულტივაკის“ (შემდგომში - „კომპანიის“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფასს-ების კონკრეტული მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ფასს-ის შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2024 წლის 28 მაისს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი

აკაკი ჩხაიძე

ფინანსური მენეჯერი

ლაშა უმეკაშვილი

28 მაისი 2024

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასის-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშების შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ფასს-ის შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშება ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2024 წლის 28 მაისს.


ხელმძღვანელობის სახელით:

მმართველი დირექტორი



აკაკი ჩხაიძე

ფინანსური მენეჯერი



ლაშა უმეკაშვილი

28 მაისი 2024

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს მულტივაკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით 31 დეკემბრით დასრულებული 2023 წლისათვის

შპს მულტივაკის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

კომპანიის მიმოხილვა

კომპანიის სახელი: შპს მულტივაკი

იურიდიული მისამართი: ძველი თბილისის რაიონი, ბევრეთის ქ. #2, თბილისი, საქართველო

კომპანიის საქართველოში რეგისტრაციის თარიღი 05.12.2011 საიდენტიფიკაციო ნომერი : 404412202

დამოუკიდებელი აუდიტორი

დამოუკიდებელი აუდიტორის სახელი: შპს როდლი & პარტნიორები აუდიტი

იურიდიული მისამართი: შოთა რუსთაველის გამზ., №24/ მ.ლაღიძის ქ.№1, ძველი თბილისის რაიონი, თბილისი, საქართველო

კომპანიის საქართველოში რეგისტრაციის თარიღი: 21.10.2010 საიდენტიფიკაციო ნომერი: 404876096

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მულტივაკის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალურ ანგარიშებს 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ასევე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპების მოკლე აღწერილობის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად, ასახავს კომპანიას ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების ინდივიდუალურ მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. მმართველობით ანგარიშში მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გამოცემის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას არ გამოვხატავთ.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ცოდნის არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიას მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიას ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიას ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის

მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:


- ჩვენ იდენტიფიკაციას ვუკეთებთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ

შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშშიყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.
- ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის თუ საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის შესახებ. ჩვენ პასუხს ვაგებთ კომპანიას აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. პასუხისმგებლობა აუდიტორულ დასკვნაზე გვეკისრება მხოლოდ ჩვენ. სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

როდლი & პარტნიორები აუდიტი

კახაბერ ღრუბელაშვილი



აუდიტორი

თბილისი, 28 მაისი, 2024

შპს მულტივაკი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი	5	4,337,733	3,803,662
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(3,055,499)	(2,815,234)
საერთო მოგება		1,282,234	988,428
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,160,330)	(1,037,085)
გაუსფასურების რეზერვის ცვლილება		(48,494)	4,520
სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა		182,139	1,160
საოპერაციო ზარალი		255,550	(42,977)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	8	(12,400)	16,734
საპროცენტო ხარჯი	13	(39,878)	(15,145)
ზარალი დაბეგვრამდე		203,272	(41,387)
მოგების გადასახადის სარგებელი	9	27,491	41,329
წმინდა ზარალი		230,762	(58)
სხვა სრული შემოსავალი		(4,318)	43,797
სრული მოგება / (ზარალი)		226,445	43,738

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 28 მაისს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი დირექტორი

აკაკი ჩხაიძე

ფინანსური მენეჯერი

ლაშა უმეკაშვილი

შპს მულტივაკი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი	5	4,337,733	3,803,662
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(3,055,499)	(2,815,234)
საერთო მოგება		1,282,234	988,428
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,160,330)	(1,037,085)
გაუსფასურების რეზერვის ცვლილება		(48,494)	4,520
სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა		182,139	1,160
საოპერაციო ზარალი		255,550	(42,977)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	8	(12,400)	16,734
საპროცენტო ხარჯი	13	(39,878)	(15,145)
ზარალი დაბეგვრამდე		203,272	(41,387)
მოგების გადასახადის სარგებელი	9	27,491	41,329
წმინდა ზარალი		230,762	(58)
სხვა სრული შემოსავალი		(4,318)	43,797
სრული მოგება / (ზარალი)		226,445	43,738


2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 28 მაისს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი დირექტორი



აკაკი ჩხაიძე

ფინანსური მენეჯერი



ლაშა უშეკაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	მენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		204,969	185,805
არამატერიალური აქტივები		-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	124,267	97,109
გრძელვადიანი მოთხოვნები		44,908	
სულ გრძელვადიანი აქტივები		374,144	282,914
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	853,470	359,422
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	493,362	555,502
საგადასახადო აქტივი		37,892	45,859
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,812,438	716,949
სულ მიმდინარე აქტივები		3,197,162	1,677,732
სულ აქტივები		3,571,306	1,960,646
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		110,285	110,285
გაუნაწილებელი მოგება		(42,968)	(271,739)
ვალუტის გადაანგარიშების რეზერვი		41,471	43,797
სხვა რეზერვი	13	79,346	79,346
სულ საკუთარი კაპიტალი		188,134	(38,311)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	448,848	330,661
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		448,848	330,661
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,934,324	1,668,296
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,934,324	1,668,296
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,571,306	1,960,646

მმართველი დირექტორი

აკაკი ჩხაიძე

ფინანსური მენეჯერი

ლაშა უმეკაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ბენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		204,969	185,805
არამატერიალური აქტივები		-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	124,267	97,109
გრძელვადიანი მოთხოვნები		44,908	
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>374,144</u>	<u>282,914</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	853,470	359,422
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	493,362	555,502
საგადასახადო აქტივი		37,892	45,859
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,812,438	716,949
სულ მიმდინარე აქტივები		<u>3,197,162</u>	<u>1,677,732</u>
სულ აქტივები		<u><u>3,571,306</u></u>	<u><u>1,960,646</u></u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		110,285	110,285
გაუნაწილებელი მოგება		(42,968)	(271,739)
ვალუტის გადანაწილების რეზერვი		41,471	43,797
სხვა რეზერვი	13	79,346	79,346
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>188,134</u>	<u>(38,311)</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	448,848	330,661
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>448,848</u>	<u>330,661</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,934,324	1,668,296
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>2,934,324</u>	<u>1,668,296</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>3,571,306</u></u>	<u><u>1,960,646</u></u>

მმართველი დირექტორი

ფინანსური მენეჯერი


 აკაკი ჩხაიძე


 ლაშა უმეკაშვილი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	ვალუტის გადაანგა- რიშების რეზერვი	სხვა რეზერვი	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი	110,285	(271,680)	-	79,346	(82,049)
პერიოდის სრული ზარალი	-	(58)	-	-	(58)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	43,797	-	43,797
ოპერაციები დამფუძნებელთან	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	110,285	(271,738)	43,797	79,346	(38,311)
პერიოდის სრული ზარალი	-	230,763	-	-	230,763
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(4,319)	-	(4,319)
ოპერაციები დამფუძნებელთან	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	110,285	(40,976)	39,478	79,346	188,134

მმართველი დირექტორი

აკაკი ჩხაიძე

ფინანსური მენეჯერი

ლაშა უმეკაშვილი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება


შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	ვალუტის გადაანგა- რიშების რეზერვი	სხვა რეზერვი	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი	110,285	(271,680)	-	79,346	(82,049)
პერიოდის სრული ზარალი	-	(58)	-	-	(58)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	43,797	-	43,797
ოპერაციები	-	-	-	-	-
დამფუძნებელთან	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	110,285	(271,738)	43,797	79,346	(38,311)
პერიოდის სრული ზარალი	-	230,763	-	-	230,763
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(4,319)	-	(4,319)
ოპერაციები	-	-	-	-	-
დამფუძნებელთან	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	110,285	(40,976)	39,478	79,346	188,134

მმართველი დირექტორი



აკაკი ჩხაიძე

ფინანსური მენეჯერი



ლაშა უმეკაშვილი

ფულის ნაკადების ანგარიშგება

	მენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე კორექტირებები:		203,272	(41,387)
ცვეთა და ამორტიზაცია	7	39,741 48,494	11,128 -
საპროცენტო ხარჯი	13	39,878	15,145
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		-	-
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	8	12,400	(16,734)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე			
ცვლილება სამუშაო კაპიტალში:		343,785	(31,848)
მარაგების ზრდა		(494,048)	579,045
საგადასახადო აქტივის ზრდა		7,967	187,239
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		62,140	(193,434)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		1,290,111	(647,495)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
გადახდილი პროცენტი		(24,441)	(9,129)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
		1,185,514	(115,621)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(43,247)	(149,831)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
		(43,247)	(149,831)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების აღება	13	85,650	110,360
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
		85,650	110,360
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში			
		1,227,917	(155,092)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	716,949	858,673
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	8	(132,428)	13,368
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის			
	12	1,812,438	716,949

მმართველი დირექტორი

აკაკი ჩხაიძე

ფინანსური მენეჯერი

ლამა უმეკაშვილი

ფულის ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		203,272	(41,387)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	39,741	11,128
		48,494	-
საპროცენტო ხარჯი	13	39,878	15,145
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		-	-
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	8	12,400	(16,734)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
საშუალო კაპიტალის ცვლილებამდე		343,785	(31,848)
ცვლილება საშუალო კაპიტალში:			
მარაგების ზრდა		(494,048)	579,045
საგადასახადო აქტივის ზრდა		7,967	187,239
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		62,140	(193,434)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		1,290,111	(647,495)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,209,955	(106,493)
გადახდილი პროცენტი		(24,441)	(9,129)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,185,514	(115,621)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(43,247)	(149,831)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(43,247)	(149,831)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების აღება	13	85,650	110,360
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		85,650	110,360
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	1,227,917	(155,092)
საკურსო სხვაობის ცვლილებების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	8	716,949	858,673
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	12	(132,428)	13,368
		1,812,438	716,949

მმართველი დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

აკაკი ჩხაიძე

ლაშა უშეკაშვილი

12

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

მპს მულტივაკი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წლის 5 დეკემბერს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404412202. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბევრეთის ქ. №2. კომპანია ფუნქციონირებს აზერბაიჯანში, ბაქოში მდებარე საწარმოს ფილიალთან ერთად.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის შვეიცარიის კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო წესით რეგისტრირებული და ფუნქციონირებადი კომპანია MULTIVAC EXPORT AG. კომპანიის მმართველი დირექტორი არის აკაკი ჩხაიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს შესაფუთი ტექნიკის, შესაფუთი მასალების, სათადარიგო ნაწილების გაყიდვასა და მასთან დაკავშირებულ სერვისებს.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფას-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში.

ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და

- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადააჯაღოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივი ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედული, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის არეგებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანია აჯგუფებს ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განისაზღვრება კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამოწვევის ფასს 9 ის ბ5.5.50 და ბ5.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

გადასახადები - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები - კომპანიის მიერ ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიასაქვს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელებამ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანიაში არის რისკები რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებისას. ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის მიზნები, პოლიტიკა და პროცესები რისკების აღმოსაფხვრელად და მათი შეფასების მეთოდები. უფრო დაწვრილებით ინფორმაცია ამ რისკებთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი.

ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლიც მაღალლიკვიდური ან მოკლევადიანია, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით. მათი მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არ განსხვავდება რეალურ ღირებულებებისგან. სესხები ფასდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე -3 დონის მეთოდოლოგიით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის შემუშავებაზე. ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას ამ საკითხებზე, ხელმძღვანელობამ მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება იმ პროცესების შემუშავებასა და წარმართვაზე, რომელიც კომპანიის ფინანსური ფუნქციის მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს.

ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა, რომელიც შეამცირებს რისკს მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე. დამატებითი დეტალები პოლიტიკასთან დაკავშირებით მითითებულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანია ძირითადად ექვემდებარება საკრედიტო რისკს კრედიტით გაყიდვებიდან. ხელმძღვანელობის საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით თითოეული ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობა ინდივიდუალურად განალიზდება კომპანიის სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. მენეჯმენტი განსაზღვრავს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზის ყოველთვიური მიმოხილვით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე დერივატივს საპროცენტო განაკვეთის რისკის ზემოქმედების სამართავად. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხი. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია ევროში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	GEL	USD	EUR	AZN	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	650,169	-	1,159,237	3,032	1,812,438
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	476,993	-	59,797	1,480	538,270
	1,127,162	-	1,219,034	4,511	2,350,708
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	49,500	-	2,845,257	39,565	2,934,323
სესხები	-	-	448,848	-	448,848
	49,500	-	3,294,105	39,565	3,383,171
ღია სავალუტო პოზიცია	1,077,662	-	(2,075,071)	(35,054)	
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	GEL	USD	EUR	AZN	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	25,638	-	642,711	48,601	716,949
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	467,709	-	19,181	67,535	554,425
	493,347	-	661,892	116,136	1,271,375
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	356,826	-	1,228,454	14,897	1,600,177
სესხები	-	-	330,661	-	330,661
	356,826	-	1,559,115	14,897	1,930,838

136,521	-	(897,223)	101,238
---------	---	-----------	---------

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის, ევროსა და აზერბაიჯანული მანათის ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯენტის მიერ.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

2023 წელი	აშშ დოლარის კურსის გავლენა		ევროს კურსის გავლენა		აზერბაიჯანული მანათის კურსის გავლენა	
	GEL/USD + 20%	GEL/USD - 20%	GEL/EUR + 20%	GEL/EUR - 20%	GEL/AZN + 20%	GEL/AZN - 20%
მოგება/(ზარალი)	-	-	(415,014)	415,014	(7,011)	7,011

2022 წელი	აშშ დოლარის კურსის გავლენა		ევროს კურსის გავლენა		აზერბაიჯანული მანათის კურსის გავლენა	
	GEL/USD + 20%	GEL/USD - 20%	GEL/EUR + 20%	GEL/EUR - 20%	GEL/AZN + 20%	GEL/AZN - 20%
მოგება/(ზარალი)	-	-	(179,445)	179,445	20,248	(20,248)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ქვემოთ მოყვანილი ცხრილები დეტალურად აღწერს კომპანიის დარჩენილ სახელშეკრულებო ვადას მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის შეთანხმებული დაფარვის ვადით 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ქვემოთ მოცემული ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არა-დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ ყველაზე ადრეული თარიღის გათვალისწინებით, როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. ცხრილები მოიცავს როგორც სარგებლის, ასევე ძირს.

რამდენადაც საპროცენტო ნაკადები არის მცურავი განაკვეთით, არა-დისკონტირებული თანხა მიღებულია საპროცენტო განაკვეთის მრუდიდან საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

2023 წლის 31 დეკემბერი	1 წლამდე დასაფარი	1-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,812,438	-	-	1,812,438
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	493,362	44,908	-	538,270
სულ ფინანსური აქტივები	2,305,800	44,908	-	2,350,708
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,934,324	-	-	2,934,324
სესხები	-	448,848	-	448,848
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,934,324	448,848	-	3,383,172

2022 წლის 31 დეკემბერი	1 წლამდე დასაფარი	1-დან 5 წლამდე	5 წლის შემდეგ	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	716,949	-	-	716,949
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	554,425	-	-	554,425
სულ ფინანსური აქტივები	1,271,374	-	-	1,271,374
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	-	-
სესხები	91,642	305,990	-	397,632
სულ ფინანსური ვალდებულებები	91,642	305,990	-	397,632

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- **დონე 1:** კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
- **დონე 2:** პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- **დონე 3:** ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. საუკეთესო მტკიცება რეალური ღირებულებისა არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი ის ბაზარია, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. აქტიურ ბაზარზე მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შეფასდება, როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს განკარგულებაში არსებული ერთეულების რაოდენობაზე.

კომპანიას გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები - „რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგებაში ან ზარალში ასახვით“. აქედან გამომდინარე ისინი არიან წარმოდგენილი ფასს 13-ის რეალური ღირებულების იერარქიის მეორე დონის მიხედვით.

ფულისა და ფულის ექვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

5. შემოსავალი

სხვა სახარჯი მასალები
შესაფუთი მანქანა-დანადგარი
მულტივაკის სათადარიგო ნაწილები
პარტნიორის დანადგარი
რეტროფიტი (მანქანის მოდიფიცირება)
პარტნიორის სათადარიგო ნაწილები
კამერული ვაკუუმური შესაფუთი მანქანა-დანადგარი
კომპაქტური მანქანა-დანადგარი
გაყიდვების შემდგომი მომსახურება და რემონტი
საკომისიო

ყველა შემოსავალი აღიარებულია კონკრეტული დროის მომენტში, როდესაც ხდება საქონლის გადაცემა, ან მომსახურების გაწევის დასრულება.

6. მოგების გადასახადის სარგებელი

	2023 წელი	2022 წელი
საწყისი ნაშთი	97,109	67,684
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
მოგების გადასახადის სარგებელი	28,095	41,329
ვალუტაში გადაანგარიშების სხვაობა	-937	-11,904
საბოლოო ნაშთი	124,267	97,109

გადავადებული საგადასახადო აქტივი წარმოშობილია ბაქოს ოფისის აუდიარებელ საგადასახადო ზარალის შედეგად და გამოითვლება, როგორც 621,335 ლარის (401,745 მანათი) 20% (აზერბაიჯანში მოქმედი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი), რაც წლის ბოლოს კურსით არის 124,267 ლარი (78,620 მანათი).

ვალუტაში გადაანგარიშების სხვაობა წარმოიშობა, რადგან ბაქოს ოფისის აზერბაიჯანულ მანეთში აღრიცხული ნაშთები ლარში გადაანგარიშდება შესაბამისი საანგარიშგებო წლის ბოლოს კურსით, ხოლო მოგება-ზარალის მუხლები კი, შესაბამისი წლის საშუალო გაცვლითი კურსით გადმოღის ლარში.

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
მარაგები	853,470	359,422

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
ფინანსური მოთხოვნები		
მოთხოვნები მესამე პირის მიმართ	608,481	568,353
მოთხოვნები შვილობილი და დაკავშირებული კომპანიების მიმართ	-	5,769
სულ ფინანსური მოთხოვნები	608,481	574,122
მინუს: სავაჭრო ვალების რეზერვი	(68,191)	(19,697)
სულ ფინანსური მოთხოვნები	540,290	554,425

არაფინანსური მოთხოვნები

გადახდილი ავანსი

19,126

1,077

სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

559,417

555,502

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ფინანსური მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. ყველა სავაჭრო მოთხოვნა უნდა იყოს მიღებული პერიოდის დასრულებიდან 60 დღის ვადაში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ფინანსური მოთხოვნები ვალუტის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

2023 წელი	მიმდინარე	360 დღეზე მეტად ხანდაზმული	სულ 31 დეკემბერი 2023
მოსალოდნელი დანაკარგის წილი	0%	100%	
მთლიანი ღირებულება	540,290	68,191	608,481
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	-	68,191	68,191
საბალანსო ღირებულება			540,290

2022 წელი	მიმდინარე	360 დღეზე მეტად ხანდაზმული	სულ 31 დეკემბერი 2022
მოსალოდნელი დანაკარგის წილი	0%	100%	
მთლიანი ღირებულება	554,425	19,697	574,122
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	-	19,697	19,697
საბალანსო ღირებულება			554,425

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2023 წელი	2022 წელი
მოსალოდნელი დანაკარგის საწყისი ნაშთი	(19,697)	(24,217)
წინა პერიოდებში აღიარებული მოთხოვნის რეზერვის აღდგენა	-	4,520
მიმდინარე პერიოდში წარმოქმნილი მოთხოვნების დანაკარგის რეზერვი	-48,494	
მოსალოდნელი დანაკარგის საბოლოო ნაშთი	(68,191)	(19,697)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	650,169	25,638
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,162,269	691,312
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,812,438	716,949

დამატებითი ინფორმაცია უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

10. მიღებული სესხები

კონტრაგენტი	დაფრვის თარიღი	ვალუტა	წლიური პროცენტი	ნაშთი 31 დეკემბერი 2023 წელი	ნაშთი 31 დეკემბერი 2022 წელი
MEAG	31 დეკემბერი 2027 წელი	ევრო	12 თვე EURIBOR + 1.5%	448,848	330,661

2017 წლის აგვისტოში Multivac Export AG-მ (MEAG) მულტივაკ საქართველოს (MUGE) მისცა საშუალება, ესარგებლა 100,000,000 ევროს ოდენობის კომპანიათაშორის საკრედიტო ხაზით, საპროცენტო განაკვეთით 12 თვის EURIBOR-ს დამატებული მარჟა (1.5%).

სესხი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, რომელიც ეფუძნება ფულადი ნაკადების დისკონტირებულ წლიურ საბაზრო განაკვეთს მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რაც არის 9.36%. სხვაობა (79,346 ლარი) სესხის ნომინალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში.

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების რეკონსილაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგომნაირად:

	2023 წელი	2022 წელი
საწყისი ნაშთი	330,661	274,188
მიღებული სესხები	85,650	110,360
დარიცხული პროცენტი	39,878	15,145
სამართლიანი ღირებულების ცვლილება	1,389	-
გაქვითვა სხვა ვალდებულებაში	-	(2,502)
სესხის დაფარვა	-	-
პროცენტის დაფარვა	(24,441)	(9,129)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	15,711	(57,401)
საბოლოო ნაშთი	448,848	330,661

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები არააფილირებულ პირებთან	216,145	721,275
სავაჭრო ვალდებულებები აფილირებულ კომპანიებთან	1,249,573	878,902
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,465,717	1,600,177
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	1,468,605	68,119
სულ არაფინანსური ვალდებულებები	1,468,605	68,119
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,934,323	1,668,296

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან. ინფორმაცია სავაჭრო ვალდებულებების ვადიანობისა და ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის - „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ - თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლებაწარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე;
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენისუფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ბალანსები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	5,769
LLC Multivac Rus	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	-	5,769
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,147,972	878,902
MUWO (MULTIVAC SEPP HAGENMULLER GMBH & CO.KG)	მშობელი საწარმო	557,309	719,384
Multivac Resale&Service GMBH		541	143,542
Multivac Ukraine LLC		-	15,466
Fritsch Bakery Technologies GmbH		67,011	510
MULTIVAC MARKING & INSPECTION GmbH & Co. KG	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	44,630	
Multivac Packaging LLC, Uzbekistan		6,311	
Multivac Production Spain, S.L.U.		94,179	
Multivac Sp.z.o.o.		377,992	
სესხები		448,848	330,661
Multivac Export AG (MEAG)	აქციონერი	448,848	330,661
შეძენები		2,089,494	1,537,718
MUWO (MULTIVAC SEPP HAGENMULLER GMBH & CO.KG)	მშობელი საწარმო	1,316,441	1,272,444
Multivac Resale&Service GMBH		11,548	239,431
MULTIVAC Romania SRL		55,864	23,266
Fritsch Bakery Technologies GmbH	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	192,579	2,577
MULTIVAC MARKING & INSPECTION GmbH & Co. KG		44,405	-
Multivac Production Spain, S.L.U.		90,539	-
Multivac Sp.z.o.o.		378,119	-

უმაღლესი ხელმძღვანელობის პერსონალი არიან ის პირები, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა კომპანიის საქმიანობის დაგეგმვაზე, წარმართვასა და კონტროლზე, კომპანიის ღირებულების ჩათვლით. 2023 და 2022 წლებში უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შეადგენდა 228,642 ლარს და 223,757 ლარს, შესაბამისად.

13. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები სამი წლის

განმავლობაში.

სასამართლო დავები - 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ჩართული იყო სამართალწარმოებაში შპს „მარშესთან“, რომელიც ითხოვს ტექნიკის შეძენისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურებას ტექნიკის კომპანიისათვის უკან დაბრუნების სანაცვლოდ. მოთხოვნილი ანაზღაურებაა 102,039 ევრო. საქმის არსებითი განხილვა არ ჩატარებულა. მენეჯმენტი მიიჩნევდა, რომ გაყიდული ტექნიკა არ იყო დეფექტიანი და ის მუშაობდა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში და ის კვლავ მუშა მდგომარეობაშია. სასამართლო განხილვამდე კომპანიამ უჩივლა შპს „მარშეს“, რომ მიეღო თავისი დებიტორული დავალიანება 56,761 ევროს ოდენობით და თანხა უკვე ჩამოწერილი იყო, როგორც უიმედო დავალიანება და შედეგი ასახულია 2019 წლის 1 იანვრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2023 წლის 11 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, მხარეთა მორიგების გამო, საქმის წარმოება შეწყდა. მორიგების თანახმად შპს „მარშე“ იღებს ვალდებულებას მორიგების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში შეთხზებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს შპს „მულტივაკს“ სასარჩელო მოთხოვნის ძირითადი თანხა 56,761 ევროს ოდენობით, 12 თვის განმავლობაში ყოველთვიური გადახდებით, ხოლო შპს „მულტივაკი“ იღებს ვალდებულებას გაუწიოს შპს „მარშეს“ მომსახურება, რაც გამოიხატება სადავო დანადგარის მოდიფიკაციაში კონკრეტული ტექნიკური სპეციფიკაციის შესაბამისად.

საოპერაციო გარემო – საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ ყოფილა ისეთი მოვლენა რაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებებს ან დამატებით ახსნა-განმარტებებს მოითხოვდა.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში მდებარე კომპანიის ფილიალის ფუნქციონალური ვალუტა არის მანათი.

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციები გადაიანგარიშება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად ან იმ თარიღში არსებული კურსით, რომელშიც მოხდა გადაფასება. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს არსებული განაკვეთებით გადაანგარიშება არ ვრცელდება არაფულად ერთეულებზე.

აზერბაიჯანში კომპანიის ფილიალის უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებების თავდაპირველად ფუნქციონალურ ვალუტაში (მანათი) აღრიცხვის შემთხვევაში, იგი დაკონვერტირებულია გარიგების თარიღზე არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ფუნქციონალური ვალუტის გაცვლითი კურსით, საანგარიშო გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან. ნაშთებისა და ოპერაციების კონვერტირების გაცვლითი კურსის სხვაობა წარსადგენ ვალუტაში არ არის მნიშვნელოვანი 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისათვის.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	1 დოლარი	1 ევრო	1 მანათი
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753	1.5806
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844	1.5924

აზერბაიჯანის ფილიალის 2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების გადაანგარიშებისთვის გამოყენებული იყო ქართული ლარის აზერბაიჯანულ მანათთან ოფიციალური საშუალო კურსების საშუალო შესაბამისი წლისთვის, რაც შეადგენდა 1.5466 ლარს 1 მანათისთვის (2022 წელი: 1.7185 ლარი/მანათი).

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა.
- გარიგების ფასის განსაზღვრა.
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან.
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს შესაფუთი ტექნიკის, შესაფუთი მასალების, სათადარიგო ნაწილებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაყიდვას.

შემოსავალი ერთჯერადი მომსახურებით შესაფუთი ტექნიკის გაყიდვიდან (აწყობა, მონტაჟი, ტექნიკის გამოყენების ინსტრუქციის სწავლება) და სხვა შესაფუთი მასალების გაყიდვიდან აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე. ეს ჩვეულებრივ ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიეწოდება კლიენტს. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

კომპანიის მიერ გაყიდულ ტექნიკაზე ვრცელდება გარანტიები, რომლებიც მოითხოვს კომპანიისგან, შეცვალოს ან გამოასწოროს დეფექტიანი პროდუქტი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, თუ საქონელი არ შეესაბამება შეთანხმებულ სპეციფიკაციებს. ასეთი გარანტიები არ არის აღრიცხული, როგორც ცალკეული შესრულების ვალდებულებები, თუმცა გათვალისწინებულია გარანტიების დაკმაყოფილების ხარჯების ანარიცხები.

გარიგების ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ტექნიკის გაყიდვა ერთჯერადი მომსახურებით (აწყობა, მონტაჟი, ტექნიკის გამოყენების ინსტრუქციის

სწავლება) წარმოადგენს ერთ საკონტრაქტო ვალდებულებას, რადგანაც თანმხლები სერვისებით მომხმარებელს არ შეუძლია ისარგებლოს დამოუკიდებლად ან სხვა ხელმისაწვდომი რესურსებით.

შემოსავალი საკომისიოდან

მულტივაკ საქართველოს ფილიალის - მულტივაკ აზერბაიჯანის (MUAZ) შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღება მომსახურების საკომისიო შემოსავლიდან (შუამავლის საკომისიო), რომლის მიღებაზეც იგი უფლებამოსილია აზერბაიჯანში MULTIVAC SEPP HAGENMULLER GMBH & CO.KG (MUWO)-ის მიერ გაყიდული ტექნიკიდან. MUAZ-ს არ აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს საქონლით სხვა გზით, მაგალითად, როგორცაა აქტივის სხვა მომხმარებელზე გადამისამართება შემდგომი გაყიდვით. მულტივაკ აზერბაიჯანი (MUAZ) მოქმედებს როგორც აგენტი, რადგან იგი იღებს კანონიერ საფუძველს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბოლოო მომხმარებელი იღებს ვალდებულებას და გადაუხდის საქონლის ღირებულებას მშობელ საწარმოს - MUWO-ს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, გასამრჯელოები, პრემიები და არაფულადი შეღავათები აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას (სასარგებლო- მომსახურების ვადა 10 წელი). აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია იყენებს ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება ფაიფო მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი.

სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია აღრიცხავს თავის ფინანსურ აქტივებს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით. ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულის და ფულის ეკვივალენტებს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და სახელმწიფოებო აქტივების გაუფასურების ანარიცხები აღიარებულია კომპანიისთვის შესაბამისი ფასს-ის სააღრიცხვო სახელმძღვანელოს საფუძველზე. შესაძლო მხარეების ყველა დებიტორული დავალიანება თანაბრად განიხილება და გაუფასურდება დეფოლტური განაკვეთით, რომელიც გამოითვლება ბოლო სამი წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანებების საშუალო ჩამოწერისა და გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების საფუძველზე და განაკვეთი უნდა დაკორექტირდეს კომპანიისთვის დამახასიათებელი მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის შესაბამისად, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კლიენტთა მიერ დებიტორული დავალიანების ანგარიშსწორების უნარზე. გარდა ამისა, აღინიშნება, რომ პოლიტიკის მიხედვით: ხელმისაწვდამი გაკოტრებული კლიენტის მიმართ არსებული დებიტორული დავალიანებები ან სხვა ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს, რომ მომხმარებლის გაკოტრება 100% -ით უნდა იყოს გაუფასურებული; 100% -იანი გაუფასურება ასევე საჭიროა დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, რომლებიც ვადაგადაცილებულია 360 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში; დაკავშირებული და შვილობილი კომპანიების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანებები არ არის გაუფასურებული ჯგუფის თვალსაზრისით.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს: სავაჭრო ვალდებულებებს, კომპანიათაშორის მიღებულ სესხებსა და სხვა მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომ აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

ლივიდენდები

ლივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა ლივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული ლივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ ლივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- ლივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

გადავადებული მოგების გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის კომპანია გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული როდესაც არის კანონიერი უფლება რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახადო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით. აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა. როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე

და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

ვინაიდან კომპანიის ყველა იჯარა არის დაბალი ღირებულების და მოკლევადიანი, კომპანია იჯარასთან მიმართებაში იყენებს გათავისუფლებას და ფასს 16 - „იჯარები“ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ ახდენს მნიშვნელოვანი გავლენას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მმართველი დირექტორი

აკაკი ჩხაიძე

ფინანსური მენეჯერი

ლამა უმეკაშვილი

თბილისი, 28 მაისი, 2024

და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

ვინაიდან კომპანიის ყველა იჯარა არის დაბალი ღირებულების და მოკლევადიანი, კომპანია იჯარასთან მიმართებაში იყენებს გათავისუფლებას და ფასს 16 - „იჯარები“ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ ახდენს მნიშვნელოვანი გავლენას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნძნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მმართველი დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

თბილისი, 28 მაისი, 2024

გვამი ჩხაიძე

ლაშა უმუცაშვილი